# ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მეორე შუალედური კაზუსები

## სასჯელაღსრულების დაწესებულება

რუსთავის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყაჩაღობისათვის სასჯელს იხდიდა გოგოძე. მოგვიანებით მას ბრალი დაედო ციხეში მომხდარ ბუნტში მონაწილეობა. ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით დაიბლოკა გოგოძისადმი და ასევე მისგან გაგზავნილი რამდენიმე წერილი, მათ შორის ადვოკატის წერილი, რომელიც დაცვის ქვეშ მყოფს მოუწოდებდა ესარგებლა დუმილის უფლებით. ადვოკატმა მიიჩნია, რომ ციხის უფროსს უფლება არ ჰქონდა შეეზღუდა გოგოძის კონსტიტუციით მინიჭებული უფლება და შეეჩერებინა წერილები, მით უფრო წაეკითხა ისინი. მან ადმინისტრაციას ასევე მოუწოდა უკიდურეს შემთხვევაში წერილი წაკითხულიყო მსჯავრდებულის თანდასწრებით. ქვეყნის კონსტიტუციაზე და პატიმრობის შესახებ კანონზე მიუთითა ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, რომლებიც უშვებენ შესაძლებლობას, ცალკეულ შემთხვევაში შეზღუდონ გზავნილების მიღება. დაირღვა თუ არა კონსტიტუციით განკუთვალისწინებული რომელიმე უფლება?

## მუსულმანი მანდილოსანი

ქ. მარნეულში მოქმედებდა ქალთა გაერთიანება, რომელიც მუსულმან მანდილოსნებს მოუწოდებდა დაეცვათ საუკუნო სამოსელი სასწავლო და შრომით დაწესებულებებში. ა. ალიევა, რომელიც მარნეულის გამგეობაში მოლარედ მუშაობდა და მითითებული კავსირის წევრი იყო, სამსახურში ტრადიციული სამოსელით ცხადდებოდა. გამგებელმა, გ. მამედოვმა მიუთითა ალიევს, საქართველოს კანონზე „საჯარო სამსახურში ქცევისა და ჩაცმის სტანდარტების შესახებ“ და მოითხოვა მისგან სახელმწიფო სამსახურისათვის შესაფერისი სამოსელის ტარება, წინააღმდეგ შემთხვევასი სამსახურიდან განთავისუფლებით დაემუქრა. ალიევამ ჩათვალა, რომ

მოქმედი კანონი და, შესაბამისად, გამგებლის დამოკიდებულება, ზღუდავს ადამიანისათვის კონსტიტუციით აღიარებულ უფლებებს და მიმართა სასამართლოს. განიხილეთ კაზუსი.